

ზრდასრულთა განათლების ზოგადი მიმოხილვა საქართველოს, ნიგერიის, ინგლისისა და ავსტრალიის მაგალითზე

ნათელა ბედენაშვილი

სსიპ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო, რიჩარდ ჰოლბრუკის #8

ანოტაცია:

რაც დრო გადის მოსახლეობის რიცხვი მთელი მსოფლიოს მასშტაბით იზრდება. საზოგადოება დგება ახალი გამოწვევების წინაშე, მეტია იმის შანსი რომ იყო განათლებული და კონკურენტუნარიანი. თუმცა, ამისათვის საჭიროა სპეციალური მომზადება, მუდმივი მზადყოფნა სირთულეების გადასალახავად. ყოველივე ამისდთვის კი აუცილებელია ჩართული ვიყოთ უწყვეტი განათლების პროცესში. მოცემული სტატია სწორედ სწავლას მთელი სიცოცხლის განმავლობაში ეხება, სადაც მოკლედ არის მიმოხილული თუ რა პრობლემების წინაშე შეიძლება დაგვყენოს გაუნათლებელმა საზოგადოებამ და რა დადებითი მხარეები აქვს ზრდასრულ ადამიანთა განათლებას.

საკვანძო სიტყვები:

ზრდასრულთა განათლება, სწავლა მთელი სიცოცხლის განმავლობაში, პედაგოგიკის მეცნიერებები.

სწავლა მთელი სიცოცხლის განმავლობაში (LLL) - საგანმანათლებლო პოლიტიკა, რომლის მიზანია პიროვნებისათვის მთელი სიცოცხლის განმავლობაში მისი საგანმანათლებლო მოთხოვნილებების დაკმაყოფილების ოპტიმალური პირობების შექმნა. **ზრდასრულთა განათლება (AE) გულისხმობს** საბაზო განათლების მქონე ზრდასრულ ასაკს მიღწეულ პირთა განათლებას და 15 წლიდან ზევით მოისაზრებიან ზრდასრულად. **არაფორმალური განათლება**, განათლების ორგანიზებული ფორმაა, რომელიც ღიაა ნებისმიერი ასაკის სწავლის მსურველისათვის, არ არის სავალდებულო და შეიძლება ხორციელდებოდეს საგანმანათლებლო დაწესებულების ფარგლებში ან მის მიღმა და არ ისახავს მიზნად ოფიციალური სერტიფიკატის მიღებას (მოიცავს non-formal & informal).

რატომ არის ასე მნიშვნელოვანი ზრდასრულთა განათლება სახელმწიფოსთვის? ქვემოთ მოცემულია თითოეული ის ინტერესი, რომელიც დაკავშირებულია მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლასთან:

- დემოგრაფიული კონტექსტი
 - მოსახლეობის დაბერება, დაბალი შობადობა, მიგრაცია
 - შრომისუნარიანი ასაკის მოსახლეობის გადამზადების საჭიროება
 - სოციალურ-ეკონომიკური კონტექსტი
 - დასაქმება
 - კარიერული წინსვლა
 - ეკონომიკური პირობების გაუმჯობესება/სიღარიბესთან ბრძოლა
- სამოქალაქო საზოგადოების მშენებლობა

- დემოკრატიული ღირებულებების განვითარება
- პირადი ინტერესი
 - პიროვნების განვითარება

ზრდასრულთა განათლებით დაინტერესებული მსოფლიო აკადემიური სამყარო, ბოლონიის პროცესი ამის ნათელი მაგალითია, სადაც მიმდინარეობს მუშაობა არაერთ კომუნიკეზე, რათა შეიმუშაონ ყველასათვის მორგებული და მისაღები სწავლის პირობები:

- 2001 წლის პრადის კომუნიკე – “სწავლა მთელი ცხოვრების განმავლობაში” ბოლონიის პროცესის ერთ-ერთი უმთავრესი პრინციპი
- ბერლინის კომუნიკე (2003) “მინისტრები ღებულობენ სათანადო ზომებს, რათა ... უმაღლესი განათლების დონეზე უზრუნველყოფილ იქნეს სწავლა მთელი სიცოცხლის განმავლობაში, წინა განათლების აღიარების ჩათვლით.”
- ბერგენის კომუნიკე (2005) “LLL & NQF”

უნივერსიტეტების როლი უმნიშვნელოვანესია, მოკლედ ჩამოვთვლით თუ რა მისია აკისრიათ მათ ამ საქმეში:

- სწავლება
- სამეცნიერო კვლევა
- საზოგადოების სამსახური

თუმცა საჭიროა უნივერსიტეტების დაინტერესება, რათა ჩაერთონ და აქტიური მონაწილეობა მიიღონ ზემოთ ჩამოთვლილ პროცესებში

- დამატებითი შემოსავალი
- პერსონალის დაკავება
- გავლენის სფეროების გაზრდა
- სოციალურ პარტნიორებთან (მათ შორის დამსაქმებლებთან და პოტენციურ დონორებთან) კონტაქტების გაუმჯობესება

ეს ის პირობებია, რომელიც დაკმაყოფილებული უნდა იქნას.

ყველა ქვეყანაში განსხვავებული მდგომარეობა გვაქვს ზრდასრულთა განათლებასთან დაკავშირებით, ამ თემაში მიმოხილული ქვეყნები მკვეთრად განსხვავდებიან ერთმანეთისგან. პირველი ქვეყანა, რომელიც მინდა მიმოვიხილო არის საქართველო.

საქართველოს კონსტიტუციის 35-ე მუხლის თანახმად, ყველას აქვს განათლების მიღებისა და მისი ფორმის არჩევის უფლება. მოქალაქეებს უფლება აქვთ კანონით დადგენილი წესით, სახელმწიფოს დაფინანსებით მიიღონ პროფესიული განათლება.

საინტერესოა, რას ნიშნავს პროფესიული განათლება, რომელიც ზრდასრულთა განათლებას გულისხმობს და რა ასაკის ადამიანები შეიძლება ჩაერთონ ამ პროცესში?

ზრდასრულთა განათლებას პედაგოგიკის მეცნიერების ერთ-ერთი დარგი ანდრაგოგიკა იკვლევს. ანდრაგოგიკა ბერძნული სიტყვაა aner, andros (ზრდასრული / მოწიფული კაცი) და agos (გამლოა), აღნიშნავს პედაგოგიური მეცნიერების ნაწილს, რომელიც მოიცავს ზრდასრული ადამიანის მიერ ცოდნისა და უნარ-ჩვევების

ათვისების თეორიულ და პრაქტიკულ პრობლემებს; ამასთან, ხსნის ათვისების პროცესის კანონზომიერებებს და პროფესიონალი პედაგოგის მხრიდან ამ პროცესის ხელმძღვანელობის განსაკუთრებულობას. ტერმინი პირველად გამოიყენა გერმანელმა განათლების ისტორიკოსმა კ. კაპმა (1833). ანდრაგოგიკა განსხვავდება პედაგოგიკისაგან, რომელიც მოზარდთა განათლებაზეა ორიენტირებული. ზრდასრულთა განათლება მოზარდთა განათლებისაგან რამდენადმე განსხვავდება. ერთ–ერთ ყველაზე მნიშვნელოვან განსხვავებას წარმოადგენს ის, რომ ზრდასრულებს უკვე დაგროვილი აქვთ ცოდნის გარკვეული მარაგი და აქვთ გამოცდილება. მეორე განსხვავებას წარმოადგენს ის ფაქტი, რომ ზრდასრულები ყოველთვის ელიან, რომ ახალი ცოდნა მათ გამოადგებათ უკვე დასახული მიზნების მიღწევაში.

პროფესიული განათლების შესახებ საქართველოს კანონი ერთადერთი საკანონმდებლო აქტია საქართველოს სივრცეში, რომელიც ზრდასრულთა განათლების საკითხებს, ნაწილობრივ მაინც, ათავსებს სამართლებრივ ჩარჩოში. კანონის მე–5 მუხლის თანახმად, პროფესიული განათლების ერთ–ერთი მიზანია ერთიანი პროფესიულ–საგანმანათლებლო სივრცის შექმნა მთელი სიცოცხლის მანძილზე პირის მიერ სწავლის შესაძლებლობის, სწავლის მრავალსაფეხურიანობისა და მრავალფეროვნების გათვალისწინებით. ქვეყნის რამდენიმე ძირითადი პოლიტიკური და სტრატეგიული დოკუმენტი ზრდასრულთა განათლების საკითხებსაც ეხება. ესენია: ევროპის სამეზობლო პოლიტიკის ფარგლებში შემუშავებული ევროკავშირი–საქართველოს სამოქმედო გეგმა. ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტი (BDD) 2010-2013 წლებისთვის საქართველოს რეგიონული განვითარების სტრატეგია და ზრდასრულთა განათლების სტრატეგია მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლის კონტექსტში. ეს უკანასკნელი არ წარმოადგენს ოფიციალურ, დამტკიცებულ საჯარო დოკუმენტს. თუმცა, შემუშავებულია საქართველოს ზრდასრულთა განათლების ასოციაციის მიერ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან ხელმოწერილი ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის ფარგლებში და ამდენად გარკვეული სახის ლეგიტიმაცია მაინც აქვს.

არაფორმალურია განათლება ანუ პროფესიული განათლება (გარდა უმაღლესი პროფესიული განათლებისა), რომელიც შეიძლება პირმა მიიღოს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებისგან დამოუკიდებლად (მაგალითად: სხვა ფიზიკური და იურიდიული პირების მეშვეობით) ან არაკრედიტებული საგანმანათლებლო პროგრამის ათვისების შედეგად. არაფორმალური განათლების მიზანი შეიძლება იყოს პროფესიის ათვისება, პროფესიული გადამზადება ან კვალიფიკაციის ამაღლება. არაფორმალური განათლების გზით მიღებული კვალიფიკაციის სახელმწიფო აღიარება ხორციელდება ატესტაციის გავლის შედეგად, რაც ნიშნავს, რომ სახელმწიფო აღიარებს არაფორმალურ განათლებას სახელობო განათლების დონეზე. UNESCO–ს განმარტებით ზრდასრულთა არაფორმალური განათლება წარმოადგენს განათლების ორგანიზებულ ფორმას, რომელიც ღიაა ნებისმიერი ასაკის სწავლის მსურველისათვის. ის არ არის სავალდებულო, შეიძლება ხორციელდებოდეს საგანმანათლებლო დაწესებულების ფარგლებში ან მის მიღმა და არ ისახავს მიზნად ოფიციალური სერტიფიკატის მიღებას.

პროფესიული განათლების შესახებ საქართველოს კანონის 35–ე მუხლის მიხედვით, პროფესიული განათლების (იქნება ეს ფორმალური, თუ არაფორმალური

პროფესიული განათლება) დაფინანსებას, ახორციელებენ სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოები, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების შესაბამისი ორგანოები და ადგილობრივი თვითმართველობის ორგანოები, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. ამავე კანონის მე-2 თავით დგინდება პროფესიული განათლების სახეები: ფორმალური და არაფორმალური.

- ფორმალური პროფესიული განათლების მიღება ხდება პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში. იგი მოიცავს თეორიულ სწავლებას, სასწავლო ან/და საწარმოო პრაქტიკას და სრულდება პროფესიული განათლების შესაბამისი საფეხურის კვალიფიკაციის დამადასტურებელი პროფესიული დიპლომის გაცემით.
- არაფორმალური განათლება - გულისხმობს ორგანიზებულ და მიზანმიმართულ საგანმანათლებლო ღონისძიებებს, რომლებიც ხორციელდება ფორმალური განათლების (მაგ.: სკოლა, უნივერსიტეტი) მიღმა. ასეთი ღონისძიებებია მაგ.: ტრენინგები, სხვადასხვა კურსები ან თუნდაც, მეცადინეობა რეპეტიტორთან. არაფორმალური განათლების პროცესში ყველა ასაკის ადამიანი შეიძლება იყოს ჩართული. თავად საგანმანათლებლო ღონისძიება შეიძლება იყოს სხვადასხვა ხანგრძლივობის და არ არის აუცილებელი სრულდებოდეს რაიმე სახის საგანმანათლებლო დოკუმენტის გაცემით.

2009 წელს, საქართველოს ზრდასრულთა განათლების ასოციაციის მიერ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან ხელმოწერილი ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის საფუძველზე შემუშავდა სტრატეგია. რისი ერთ-ერთი პრიორიტეტია პროფესიული განათლების ხელშეწყობა, რომლის ფარგლებშიც 2010–2013 წლებში დაგეგმილია პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების დაფინანსება და პროფესიული განათლების სისტემის რეფორმის ხელშეწყობი სხვადასხვა ღონისძიების გატარება. ასევე, სხვადასხვა პრიორიტეტების ფარგლებში იგეგმება არაქართულენოვანი მოსახლეობისათვის პროფესიული განათლების კურსების შემუშავება, ქართული ენის სწავლება ზრდასრულთა ენის ცენტრებში, მაღალმთიანი და ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებული რეგიონებიდან უმაღლესი განათლების მქონე მოქალაქეების კომპეტენციების ამაღლება ქართულ ენასა და სახელმწიფო მართვაში.

საზოგადოებისთვის ზრდასრულთა განათლების როლის ახლებურად გააზრებისთვის მნიშვნელოვან მოვლენად იქცა 1997 წელს იუნესკოს ორგანიზებით, ქალაქ ჰამბურგში გამარ-თული ზრდასრულთა განათლებისადმი მიძღვნილი მსოფლიო კონფერენცია CONFINTEA V. ამ კონფერენციაზე ზრდასრულთა განათლება, ანუ მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლების უფლება და საშუალება XXI საუკუნეში განვითარების საკვანძო ფაქტორად გამოცხადდა. ამ კონფერენციაზე მიღებული იქნა ჰამბურგის დეკლარაცია და დამტკიცებული იქნა ე. წ. მომავლის დღის წესრიგი. აღნიშნულმა დოკუმენტებმა შექმნეს კონცეფციის ჩარჩო, რომელიც ითვალისწინებს ყოველი მოქალაქისთვის შესაძლებლობის მიცემას, ჩამოყალიბდეს საკუთარ თავში დარწმუნებულ და პასუხისმგებლობით გამსჭვალულ საზოგადოების აქტიურ წევრად.

2000 წელს CONFINTEA V-ის ძირითადი მოთხოვნები, XXI საუკუნის მიჯნაზე მდგარი ევროპის წინაშე არსებული გამოწვევების გათვალისწინებით, გაზიარებული

იქნა ევროკომისიის მიერ გამოქვეყნებულ მემორანდუმში „სწავლა მთელი სიცოცხლის მანძილზე“. ამ მემორანდუმში „სწავლა მთელი სიცოცხლის მანძილზე“ კონცეფციის რეალიზებისთვის ექვსი მთავარი პრინციპი დასახელდა:

- ახალი საბაზო განათლებისა და უნარ-ჩვევების ყველასათვის მიცემა;
- ადამიანურ რესურსებში ინვესტიციების გაზრდა;
- სწავლების ინოვაციური მეთოდის დამკვიდრება;
- ცოდნისა და უნარების ახლებური შეფასებების სისტემის დანერგვა;
- სწავლების სხვადასხვა შესაძლებლობების შესახებ კონსულტაციების მიღების სისტემის გაფართოება;
- განათლების მიღების საშუალების თითოეულის საცხოვრებელ ადგილთან დაახლოება.

იუნესკოს განათლების ინსტიტუტის ორგანიზებით, 2003 წელს ბანკოკში ჩატარდა CONFINTEA V-ის შემდგომი საერთაშორისო კონფერენცია (Midterm Review Meeting), რომლის მიზანი 1997 წლის შემდგომი შუალედური შედეგების გაანალიზება იყო. კონფერენციის საბოლოო დოკუმენტში აღინიშნა, რომ CONFINTEA V-ის მოთხოვნებს, როგორც ნაციონალური მთავრობების, ასევე საერთაშორისო პროგრამების დონეზე, დღემდე არასათანადო ყურადღება ექცევა. გარდა ამისა, კონფერენციამ ფაქტობრივად ახალი სამი მოთხოვნა წამოაყენა:

- ზრდასრულთა განათლება უნდა გათვალისწინებული იქნას განვითარების ყველა პროგრამაში, რადგან გლობალიზაციის პრობლემების დაძლევა ზრდასრულთა განათლებისა და სწავლების გარეშე წარმოდგენილია;
- ზრდასრულთა განათლება უნდა იქცეს ეროვნული საგანმანათლებლო პოლიტიკის შემადგენელ ნაწილად და განხილული იქნას, როგორც ინვესტიცია მომავალში და არა, როგორც სოციალური ხარჯი;
- ზრდასრულთა განათლება უნდა გახდეს პრიორიტეტული, როგორც სათემო დონეზე, ასევე მოსახლეობის სოციალურად დაუცველ ჯგუფებთან მუშაობისას.

ლისაბონის კონვენცია - „ევროპის რეგიონში უმაღლეს განათლებასთან დაკავშირებული კვალიფიკაციების ცნობის კონვენცია“, საქართველოს მიერ ხელმოწერილია 1997 წლის 11 აპრილს, რატიფიცირებულია საქართველოს პარლამენტის მიერ 1999 წლის 13 ოქტომბერს. კონვენციით განისაზღვრა უმაღლესი განათლების კვალიფიკაციების აღიარების პროცედურა, რაც საშუალებას აძლევს საქართველოს მოქალაქეს მოითხოვოს მისი კვალიფიკაციის ან სწავლის პერიოდის ცნობა/აღიარება ხელმომწერი ქვეყნებისაგან. კონვენციის თანახმად, ყოველი მხარე აღიარებს მეორე მხარის კვალიფიკაციას ან უმაღლესი განათლების პროგრამის ჩარჩოებში გავლილ სწავლის პერიოდს, იმ შემთხვევების გარდა, როდესაც შესაძლებელია საფუძვლიანი განსხვავების დადასტურება.

2002 წლის ოქტომბერში IIZ/DVV-ის (ახლა უკვე dvv international) წარმომადგენლობის ინიციატივით, საქართველოში პირველად გაიმართა ზრდასრულთა განათლების დღეები დევიზით „სწავლა სიბერემდე“. მომდევნო 2003 წელს ღონისძიება ფესტივალში გადაიზარდა, რომლის ცენტრალური ღონისძიება ზრდასრულთა არაფორმალური განათლების ორგანიზაციათა პირველი გამოფენა იყო.

გამოფენის ფარგლებში მოეწყო ღია გაკვეთილები, სემინარები და მრავალრიცხოვანი პრეზენტაციები ზრდასრულთა განათლების სხვადასხვა თემებზე. დიდი ინტერესი გამოიწვია ფესტივალის კულტურულმა პროგრამამაც. მთლიანობაში, ფესტივალში მონაწილე პირთა რიცხვმა 3.000-ს მიაღწია. ფესტივალში მონაწილეობა მიიღეს აგრეთვე ზრდასრულთა განათლების ორგანიზატორებმა აზერბაიჯანიდან, გერმანიიდან და სომხეთიდან.

2004 წელს ზრდასრულთა განათლებისადმი მიძღვნილი მთავარი ღონისძიება იყო ივნისში გამართული საერთაშორისო კონფერენცია თემაზე: „ზრდასრულთა განათლება და სწავლა მთელი სიცოცხლის მანძილზე სამხრეთ კავკასიაში - არსებული ვითარება და განვითარების პერსპექტივები“. კონფერენციაში, რომელიც იუნესკოს განათლების ინსტიტუტისა (ჰამბურგი) და ფონდ „ღია საზოგადოება - საქართველოს“ (OSGF) ფინანსური მხარდაჭერით ჩატარდა, 12 ქვეყნის 120-ზე მეტმა სპეციალისტმა მიიღო მონაწილეობა. აღნიშნული კონფერენცია საქართველოს ზრდასრულთა განათლების ორგანიზაციებისათვის იქცა სერიოზულ იმპულსად და მათ 2004 წლის ნოემბერში დააფუძნეს საქართველოს ზრდასრულთა განათლების ასოციაცია (AEAG). 2005 წლიდან ასოციაცია IIZ/DVV-ის მთავარი პარტნიორი და კვირეულის სრულყოფილებიანი თანაორგანიზატორია.

საქართველოში ზრდასრულთა განათლების 2005 წლის კვირეულის ძირითადი მიზნებისაზოგადოების ფართო წრეებში სწავლის, როგორც ცხოვრების თანმდევი უწყვეტი პროცესის იდეის პოპულარიზაცია;

- ზრდასრულთათვის (არაფორმალური) განათლების მიღების სხვადასხვაგვარი შესაძლებლობების წარმოჩენა;
- „სწავლა მთელი სიცოცხლის მანძილზე“ კონცეფციის გარშემო ევროპაში არსებული აქტუალური დისკუსიების გაცნობა;
- ზრდასრულთა განათლების მნიშვნელობის საზოგადოებრივი აღიარება „აქტიური მოქალაქეობის“ (Active Citizenship) კონცეფციის რეალიზებისთვის;
- ზრდასრულთა განათლების როლის წარმოჩენა სიღარიბის დაძლევაში და სოციალურად განსაკუთრებულად მძიმე მდგომარეობაში მყოფი ჯგუფების (დევენილები, ინვალიდები და სხვა) საზოგადოებაში (რე-)ინტეგრირებაში;
- ზრდასრულთა განათლების როლის წარმოჩენა მიგრაციული პროცესების მართვაში;
- ზრდასრულთა განათლებაში არსებული პრობლემების ადვოკატირება და ამ თემებზე საზოგადოებრივი დისკუსიის ინიცირება;
- ადამიანური რესურსების განვითარებაში ინვესტიციების გაზრდის აუცილებლობის წარმოჩენა (სახელმწიფოს, დამსაქმებლების, თვითმმართველობების და სხვათა მხრიდან);
- ზრდასრულთა საგანმანათლებლო დაწესებულებების ქართული ქსელის გაფართოება და ამ დაწესებულებებს შორის თანამშრომლობის ხელშეწყობა;
- ზრდასრულთა სწავლების თანამედროვე მეთოდების გაცნობა / პოპულარიზება;
- საერთაშორისო თანამშრომლობის ხელშეწყობა ზრდასრულთა განათლების საკითხებში.

2005 წლის კვირეულის ფარგლებში ძირითადად სამ თემაზე გამახვილდა ყურადღება:

- ზრდასრულთა განათლება და აქტიური მოქალაქეობა;
- განვითარების პროგრამები და ზრდასრულთა განათლება;
- ზრდასრულთა განათლება და ნაციონალური საგანმანათლებლო და დასაქმების პოლიტიკა.

სხვადასხვა სახის სოციალურ-ეკონომიკურმა ცვლილებებმა განაპირობა ფოკუსის გადატანა მოსწავლეების ფორმალური განათლებიდან ზრდასრულების არაფორმალური განათლებისაკენ. მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლა არის შესაძლებლობა ნებისმიერი მოზარდისა და ზრდასრულისათვის მოიცავს რა ზოგადი განათლების ყველა დონეს, სამუშაოსთან დაკავშირებულ ტრენინგებსა და საბაზისო უნარებს, განათლებისა და უნარების ფართო სპექტრს, ეხმარება ინდივიდს მოერგოს გარემოში მიმდინარე ცვლილებებს და უპასუხის საზოგადოებრივ მოთხოვნებს (ყოვლისმომცველი სწავლება).

ზრდასრულთა განათლება ისევე როგორც “მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლა” მოიცავს ფორმალური, ასევე არაფორმალური სწავლების ყველა დონეს, რომელთა საშუალებით ზრდასრულები ავითარებენ საკუთარ უნარებს, ამდიდრებენ საკუთარ ცოდნას, სრულყოფენ ტექნიკურ და პროფესიულ კვალიფიკაციებს ან იყენებენ ახალი მიმართულებით საკუთარი (დასაქმება, შემოსავლების ზრდა) და საზოგადოების მოთხოვნების დასაკამყოფილებლად, სოციალური გაუცხოების თავიდან ასაცილებლად (ლიბერალური ზრდასრულთა განათლება).

პროფესიული განათლების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელების ხელშეწყობის მიზნით 2007 წელს შეიქმნა ეროვნული პროფესიული სააგენტო. სახელმწიფო დაკვეთით ამ სააგენტომ უნდა იზრუნოს პროფესიული განათლების ისეთი სისტემის შექმნაზე, რომელიც ბაზრის მოთხოვნაზე იქნება ორიენტირებული და თიოთოეულ მოქალაქეს უნდა მისცეს მთელი სიცოცხლის მანძილზე განათლების მიღების შესაძლებლობა. ამ მიზნების მისაღწევად პროფესიული სააგენტო ამზადებს პროფესიულ სტანდარტებს, იმუშავებს პროფესიულ კვალიფიკაციათა ჩარჩოს და კვალიფიკაციათა აღიარების/სერთიფიცირების მექანიზმებს პროფესიულ განათლებაში.

პროფესიული განათლების რეფორმის მიზნებია:

- საქართველოში ერთიანი პროფესიულ-საგანმანათლებლო სივრცის შექმნა მთელი სიცოცხლის განმავლობაში პირის მიერ სწავლის შესაძლებლობის, სწავლების რავალსაფეხურიანობისა და მრავალფეროვნების გათვალისწინებით;
- საქართველოს პროფესიული განათლების სისტემის ერთიან ევროპულ საგანმანათლებლო სივრცესთან დაახლოება და შემდგომი ინტეგრაცია;
- პროფესიული სწავლების ცენტრებისა და კოლეჯების შექმნა სახელობო და პროფესიული უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების რეალიზების მიზნით;
- პროფესიული სწავლების ცენტრების აკრედიტაციის სისტემის ჩამოყალიბება.

ამ მიზნების განხორციელებასთან უშუალოდ დაკავშირებულია შემდეგი ამოცანების გადაჭრა:

- თითოეული პროფესიისათვის პროფესიული სტანდარტების შემუშავება;
- სტანდარტული სახელობო საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება, მათი შემდგომი განახლება და განვითარება;
- სახელობო განათლების მასწავლებელთა და ინსტრუქტორთა მომზადება-გადამზადების თანამედროვე პრაქტიკის გავრცელება;
- პროფესიულ კვალიფიკაციათა ჩარჩოს შემუშავება და სრულყოფა;
- პროფესიული სწავლების ცენტრებში პროფესიული ორიენტაციის სისტემის შექმნა და განვითარება;
- პროფესიული სასწავლებლის სტუდენტისათვის საკუთარი ბიზნესის დაწყებისა და წარმოების პრინციპის გაცნობა;
- პროფესიული განათლების დაფინანსებაში კერძო სექტორის მონაწილეობის ხელშეწყობა;
- პროფესიული განათლების მისადაგება ადგილობრივ მოთხოვნებთან;
- რეგიონული განვითარების მიმდინარე და პერსპექტიული მოთხოვნების გათვალისწინებით პროფესიული საგანმანათლებლო ქსელის შექმნა და სხვ.

საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული `პროფესიული განათლების შესახებ` საქართველოს კანონის თანახმად, ყალიბდება ორი ტიპის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება: კოლეჯი და პროფესიული სწავლების ცენტრი.

ტერმინოლოგიური განმარტება:

კოლეჯი – უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელიც ახორციელებს პროფესიულ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამას;

პროფესიული სწავლების ცენტრი – საჯარო ან კერძო სამართლის სამეწარმეო ან არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი, რომელიც ახორციელებს სახელობო საგანმანათლებლო პროგრამებს.

ყოველივე ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, ზრდასრულთა განათლების სისტემის დანერგვის პროცესი საქართველოში დაწყებულია. პირველ რიგში განათლების სისტემის ცვლილებამ და ასევე სხვა სახელმწიფო რეფორმებმა ნამდვილად მისცეს ბიძგი თანამედროვეობისთვის ამ მეტად საჭირო სისტემის ჩამოყალიბებას საქართველოში. არსებობს დასავლურ სტანდარტებთან დაახლოებული განათლების სისტემის საკანონმდებლო ბაზა, რაც იურიდიულად უზრუნველყოფს ამ სისტემის მუშაობას ჩვენს ქვეყანაში, ამასთანავე დღეს საქართველოში უკვე არსებობს ძალიან ბევრი პედაგოგიური თუ პროფესიული გადამზადების ცენტრები, როგორც კერძო სექტორში, ისევე სახელმწიფოს ინიციატივით შექმნილი, მაგრამ ეს ყოველივე დამშვიდების და თვითკმაყოფილების საფუძველს ნამდვილად არ გვაძლევს. უამრავი პრობლემა იკვეთება.

ზრდასრულთა განათლების ზოგადი მიმოხილვა ნიგერიაში

1. ნიგერია – დიდი და მრავალფეროვანი ქვეყანა აფრიკაში, საჭარას სამხრეთით. იგი არის ფედერაცია, რომელიც შედგება 30 შტატისგან და მოსახლეობა შეადგენს დაახლოებით 80 მილიონს, შეიცავს 250 კულტურულ და

- ლინგვისტურ ჯგუფს. სოფლის მეურნეობა არის ეკონომიკის ძირითადი საყრდენი, რომელიც პასუხისმგებელია თითქმის ნახევარი ეროვნული შემოსავლის და უზრუნველყოფს დაახლოებით 70 % მოსახლეობის დასაქმებას. მინერალური რესურსები არის ნავთობი რამაც ხელი შეუწყო ეკონომიკის განვითარებას უახლოეს წლებში, აგრეთვე კალა, რკინა, კირქვა და სხვა რესურსები.
2. ფედერაციის სახელმწიფო მთავრობები დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ განათლებას. ისინი აღიარებენ იმას, რომ განათლება არის გაუნათლებლობის, დაავადების და სიღატაკის წინააღმდეგ ბრძოლის იარაღი და განათლებული ინდუსტრიული სამოქალაქო მოსახლეობის განვითარებისთვის და მდიდარი ერის ჩამოყალიბებისთვის. თუმცა ამ ერის განათლების ისტორიამ გაიარა კარგი და ცუდი პერიოდები. რაც გამოწვეული იყო კოლონიალური გამოცდილებიდან, რომელმაც ადამიანთა ცნობიერებაზე დატოვა განსაზღვრული კვალი. ერმა ვერ მიაღწია მნიშვნელოვან წარმატებას ეკონომიკური დეკოლონიზაციის დროს, რადგან მისთვის ძნელი იყო კოლონიალური წარსულისგან მთლიანი დამორება. იგი ცდილობდა, რომ გადასულიყო ინდუსტრიული ქვეყნების განვითარების მოდელზე და მათი ცხოვრების სტილის კოპირება მოეხდინა. ამის შედეგი იყო ძველი კრიზისის გაძლიერება.
 3. ცვლილება ზრდასრულთა განათლებაში ისეთ ქვეყანაში, როგორცაა ნიგერია, არის ძალიან მნიშვნელოვანი. რადგან ცვლილებას მოაქვს სოციალურ - ეკონომიკური განვითარება და ემანსიპაცია და ძალიან მნიშვნელოვანი იარაღია ერის განვითარების, ასევე მის მოქალაქეობრივ ჩამოყალიბებაში.
 4. ზრდასრულთა და არა ფორმალური განათლებას დიდი ყურადღება არ ეთმობოდა ქვეყანაში, ეს უყურადღებობა გამოწვეულია კოლონიალური მემკვიდრეობით, სადაც ბრიტანელი კოლონიზატორები და მისიონერები ყურადღებას უთმობდნენ მხოლოდ ფორმალურ განათლებას, რომ აღეზარდათ კლერკები და თარჯიმნები სამთავრობო სამსახურში და კომერციულ ოფისებში, მასწავლებლები ეკლესიებში.
 5. მესამე ეროვნული განვითარების გეგმაში (1975-80) პირველად მოხდა უზრუნველყოფა ზრდასრულთა განათლებაში ქვეყანაში ფედერალური მთავრობის მიერ.
 6. ზემოხსენებულ გეგმაში ყურადღება დაეთმო ზრდასრულთა განათლების ცენტრის დაარსებას ზრდასრულთა განათლების კურსის ჩატარებისთვის და კვლევის ჩატარებისთვის ზრდასრულთა არა ფორმალური განათლების სხვადასხვა ასპექტებში. მერენი (1988) გამოთქვამს მოსაზრებას, რომ ზრდასრულთა განათლების და სწავლების პროცესი, როგორც სისტემატური შესწავლის არის უახლოესი ინოვაცია და ჩატარდა არაფორმალური აქტივობები.
 7. ზრდასრულთა განათლება ნიგერიაში ამჟამად მიმართულია ეროვნული განვითარებისკენ. ძირითადი მიზანია, რომ ზრდასრულ პირების და სწავლებით შეცვალონ თავიანთი დამოკიდებულება და ქცევა.

განათლების შესახებ პოლიტიკა ადგენს ზრდასრულთა განათლების მიზნებს:

1. ზრდასრულებისთვის წიგნიერების განათლების უზრუნველყოფა, რომლებსაც არასოდეს ჰქონიათ შესაძლებლობა ფორმალური განათლებაზე.
2. ფუნქციონალური და დამხმარე განათლების მიწოდება იმ ახალგაზრდებისათვის, რომლებმაც ადრე მიატოვეს ფორმალური სკოლის სისტემა.
3. შემდგომი განათლების უზრუნველყოფა სხვადასხვა კატეგორიის ფორმალური განათლების სისტემის კურსდამთავრებულებისთვის იმისთვის, რომ გააუმჯობესონ ძირითადი ცოდნა და უნარჩვევები.
4. სხვადასხვა კატეგორიის მუშების და პროფესიონალებისთვის პროფესიული მომზადების უზრუნველყოფა სამუშაო ადგილზე იმისთვის, რომ გააუმჯობესონ უნარ-ჩვევები.
5. ზრდასრულ მოქალაქეებისთვის ესთეტიური, კულტურული და სამოქალაქო განათლების მიწოდება საჯარო განათლებისთვის.

მონი (1981) აზრს გამოთქვამს, რომ ყველაფერ ამას აქვს ერთი მიზანი – ზრდასრულების აღჭურვა ყოველმხრივ, რაც მათ სჭირდებათ ცხოვრებისთვის, რომ იყვნენ შესაბამისი საზოგადოებისთვის და შეეძლოთ არსებული პრობლემების გადაწყვეტა. ჩვენ უნდა ვაღიაროთ, რომ განვითარება არის ადამიანის, ადამიანის მიერ და ადამიანისთვის. ადამიანი არის თავისი ბედის განმსაზღვრელი და ზრდასრულთა განათლება ფუნდამენტალურ ცვლილების მომტანია ადამიანის ქცევების და ცხოვრების სტილში. იმისთვის, რომ გადარჩეს, ხალხი უნდა ჰქონდეს შეგნება და გაცნობიერების უნარი და ამისთვის საჭიროა, ისინი იყვნენ წიგნიერები. ნიგერიის მოსახლეობას ეს გააზრებელი აქვს.

ნიგერიის ზრდასრულთა განათლებაში ცვლილების ელემენტები

ნიგერიის უმრავლესობამ თავი აღმოაჩინა საშინელ დაბალი დონის ცხოვრების სტანდარტში. ნიგერიის ძირითადი პრობლემები არის სიღარიბე, შიმშილი, დაუსაქმებლობა და განვითარების ზღვარს ქვემოთ ყოფნა. იმისთვის, რომ ეს პრობლემები შემცირდეს და დაიძლიოს მნიშვნელოვანია ზრდასრულთა განათლება.

ზრდასრულთა განათლებაში ცვლილება ნიგერიაში და ამ ცვლილების მამოძრავებელი ძალა არის ძლიერ გამოსახული ნიგერიის ეროვნული განვითარების გეგმებში 1970-7 და 1975-80 იან წლებში. ფედერალურ მთავრობას მის ეროვნულ დაგეგმვის პორცესში აქვს შემდეგი მიზნები:

1. გაერთიანებული, ძლიერი, საკუთარ თავზე დამოკიდებული ერის განვითარება
2. ძლიერი და დინამიური ეკონომიკის განვითარება
3. გილიტარული საზოგადოების განვითარება
4. მოქალაქეებისთვის დიდი შესაძლებლობების განვითარება და თავისუფალი და დემოკრატიული საზოგადოების განვითარება

ზემოხსენებული ეროვნული განვითარების მიზნებიდან, შეიძლება ჩამოყალიბდეს მოსაზრება, რომ ერი ვერ იქნება ძლიერი თუკი მოქალაქეთა უმეტეობა ცხოვრობს უწიგნურობაში. იმისთვის, რომ განვითარების გეგმები მატერიალიზირებული იყოს, არსებითია ხალხის ვალდებულება და მონაწილეობა. ადამიანები ვერ მიიღებენ მონაწილეობას, თუკი მათ არ აქვთ გაცნობიერებული პოლიტიკურად თუ რაოდენ მნიშვნელოვანია განვითარება მათთვის, როგორც ინდივიდუალური პირების ან როგორც ერის. უწიგნური ადამიანები ვერ ხვდებიან თუ რაოდენ მნიშვნელოვანია სტრუქტურულ პროგრამები და ლოიალობა ქვეყნის მიმართ, საგანმანათლებლო რეფორმები და ჯანმრთელობის აქტივობები, პრივატიზაციის პოლიტიკა, ერის განვითარების ძალისხმევა, თვით კმაყოფილება და თვით დამოკიდებულება. ზრდასრულთა განათლებით ინდივიდუალური პირი სრულყოფს თავის თავს და იმკვიდრებს საკუთარ ადგილს საზოგადოებაში.

“ნიგერიაში ცხოვრება სულ უფრო რთული ხდება, როგორ ამას წერს იპეი (1980) არა იმიტომ, რომ ინფლაციაა, ან შეიარაღებული ყაჩაღობა, და არა იმიტომ, რომ ახალი პოლიტიკური სისტემა, რომელსაც ჩვენ განვიცდით არამედ, იმიტომ რომ ინდივიდუალური ნიგერიელი ვერ ხვდება თავის თავს ადეკვატურად და არ ესმის აგრეთვე თავისი მეგობრების”. იმისთვის, რომ ნიგერია წავიდეს წინ თავისი ეკონომიური, სოციალური, კულტურული და პოლიტიკური განვითარებისკენ, ზრდასრული მოსახლეობა უნდა იყოს განვითარებული.

ამჟამად, ნიგერიაში ზრდასრულთა განათლების ცვლილება ბევრნაირად არის გამოხატული, ჩვენ მოწმენი ვართ იმისა თუ რა ძალისხმევა აქვს მთავრობას ზრდასრულთა განათლებაში ქვეყანაში. მასობრივი განათლების სააგენტო დაარსდა 30 შტატში ფედერაციისა, მათ შორის აბუჯაში. სხვადასხვა დირექტორატის შექმნა საჯარო განათლებისთვის, რგორც არის საკვების დირექტორატი, გზების და სასოფლო-სამეურნეო ინფრასტრუქტურა, მასობრივი მობილიზაცია სოციალური და ეკონომიკური განახლებისთვის, დასაქმების ეროვნული დირექტორატი, ანტი საომარი ბრიგადა, საოჯახო მხარდაჭერის პროგრამები, უკეთესი ცხოვრების პირობების შექმნა სასოფლო მოსახლეობისთვის (ქალებისთვის). ამ სააგენტოების და დირექტორატების მიზანია მნიშვნელოვანი სანაქებო გავლენის მოხდენა ქვეყანაზე. ამ დირექტორატების მიზანია ნიგერიის ხალხის მობილიზება იმისთვის, რომ მიღწეული იყოს 5 ეროვნული განვითარების მიზანი.

ინოვაციები ნიგერიის ზრდასრულთა განათლებაში

იმისთვის რომ დაკმაყოფილდეს ის გამოწვევები, რომელიც ზემოხსენებულია ზრდასრულთა განათლებაში ქვეყანაში, უნდა განხორციელდეს ინოვაციური პროგრამები როგორცაა :

1. საწყისი წიგნიერების პროგრამა: ეს არის ერთთვიანი პროგრამა, რომელიც ორგანიზებულია და დაფინანსებულია ზოგიერთი ადგილობრივი სამთავრობო საბჭოს მიერ ფედერაციის ზოგიერთ შტატში. იგი ტარდება განათლების სამინისტროს მეთვალყურეობით და მასთან კოორდინაციით.

2. პოსტ წიგნიერების პროგრამა: ეს არის ორგანიზებული განათლების სამინისტროს მიერ ზოგიერთ შტატში ფედერაციის საწყისი წიგნიერების

პროგრამების კურსდამთავრებულებისთვის და მათ ვინც მიატოვა ფორმალური საშუალო სკოლა, რომ თავიანთი ცოდნა განევიტარებინათ სკოლის დამამთავრებელი სერთიფიკატის დონეზე.

3. ქალთა ზრდასრულთა პროგრამა: ეს პროგრამა არის ორგანიზებული ქრისტიანულ მისიონერების მიერ და ადგილობრივი მთავრობის საბჭოს მიერ. განათლების სამინისტრო ეხმარება მოხალისე ორგანიზაციებს ხარჯების შემცირებაში.

4. დისტანციური განათლების პროგრამა: ეს პროგრამა არის ორგანიზებული განათლების სამინისტროს მიერ და უმაღლესი განათლების ინსტიტუტის მიერ ქვეყანაში. იგი არის შემქნილი ყველასთვის, რომლებმაც არ შეუძლიათ ჩარიცხვა რეგულარულ ან ფორმალურ საგანმანათლებლოს სისტემაში ასაკის გამო. ინსტრუქციის გადაცემა ხდება კორესპონდენციის, რადიოს და ტელევიზიის საშუალებით.

5. პროგრამა, რომელიც ორგანიზებულია სხვადასხვა ინსტიტუტის მიერ უმაღლესი განათლების ქვეყანაში ზრდასრულებისთვის გადაცემისთვის, რომლებსაც აქვთ სხვა ვალდებულება და მოდიან თავიანთ სკოლაში, როდესაც მათ შეუძლიათ.

6. ნომადური (მომთაბარეთა) განათლების პროგრამა: ნიგერიელი მომთაბარენი არიან დაკავებული მესაქონლეობით, მათ არ შეუძლიათ ერთ ადგილზე გაჩერება, იმიტომ რომ ისინი იძულებული არიან მისდიონ თავიანთ საქონელს კარგი საზოგრის ძებნაში. ისინი არ იღებენ ფორმალურ განათლებას, ამ სიტუაციაში შეიძლება გამოყენებული იყოს მობილური განათლების პროგრამა.

ნიგერიის შემდეგ მიმოვიხილოთ ინგლისი, მსოფლიოს ერთ-ერთი სამაგალითო და მისაბადი ქვეყანა განათლების საკითხებში. საინტერესოა რა მდგომარეობა ზრდასრულთა განათლების კუთხით.

ზრდასრულთა განათლება ინგლისში

ზრდასრულთა განათლება შესაძლოა გულისხმობდეს დასწრებას უნივერსიტეტში და საგანმანათლებლო კოლეჯში, რომელიც დაფინანსებულია ადგილობრივი ხელისუფლების მიერ, მუშათა საგანმანათლებლო ასოციაციასთან ერთად. ზრდასრულთა განათლება გულისხმობს უნარჩვევების გამომუშავებას, ხელახალ გადამზადებას, კვალიფიკაციის გაზრდას და პროგრესს. ზრდასრულის განსაზღვრა იცვლება პროვაიდერების მიერ. მაგალითად ყოველწლიური მიმოხილვა მათ განსაზღვრავს 17 წლიდან და მის შემდგომ. ზოგიერთი სამთავრობო პროგრამები განისაზღვრება 25 წლამდე პირებისთვის.

სწავლა მთელი სიცოცხლის მანძილზე განისაზღვრება, როგორც:

- ყველა ასაკის პირები, სხვადასხვა შინაარსის სწავლება
- სწავლა საგანმანათლებლო ინსტიტუტებში, სამუშაოზე, სახლში და თავისუფალ დროს ის ძირითადად ეხება ზრდასრულებს, რომლებიც გადიან უფრო ორგანიზებულ სწავლებას ვიდრე სწავლება საწყის ეტაპზე ან დაუგეგმავი სწავლება.

უმეტესი ზრდასრულთა განათლებას ინგლისში ადგილი აქვს კოლეჯებში, შემდგომი განათლების ან უნივერსიტეტებში, სადაც შეიძლება უმაღლესი განათლების მიღება. თუმცა ბევრი შემდგომი განათლების კოლეჯი სთავაზობენ უმაღლესი განათლების კურსებს. ძირითადი ყურადღება შემდგომ განათლებაში ეთმობა უნარჩვევებს და პროფესიულ კვალიფიკაციას. საჯაროდ დაფინანსებული არა-პროფესიული განათლება ტარდება ადგილობრივი ხელისუფლების მიერ “დაცული” ბიუჯეტით.

საკანონმდებლო საფუძველი

- არ არსებობს მიმდინარე კანონმდებლობაში რაიმე საფუძველი ზრდასრულთა განათლებისთვის გარდა (განსხვავებით) განათლება ბავშვებისთვის. ევროპის დეკლარაცია ადამიანურ რესურსებზე ოქმ 1-ში, პუნქტ 2-ში მოითხოვს უფლებას განათლებაზე, მაგრამ არ მოითხოვს რომ ქვეყნებმა უზრუნველყონ ის. ოქმი 12, რომელიც დისკრიმინაციის დაგმობის უფლებას ეხება არ არის ხელმოწერილი გაერთიანებული სამეფოს მთავრობის მიერ.

პასუხისმგებელი საჯარო ორგანოები / სამინისტროები

- ზრდასრულთა განათლება ინგლისში არის ამჟამად ბიზნესის ინოვაციების და უნარჩვევების დეპარტამენტის პასუხისმგებლობა. იგი მოიცავს ბევრ პოლიტიკის სფეროს – ინოვაციას, მეცნიერებას, ბიზნეს სექტორებს და კანონებს, ეკონომიკას, და სტატისტიკას, დასაქმების საკითხებს, ვაჭრობას და ექსპორტს აგრეთვე ზრდასრულთა შემდგომ და უმაღლეს განათლებას. განათლების დეპარტამენტი არის პასუხისმგებელი განათლებისთვის და ბავშვების მომსახურებაზე, აგრეთვე აქვს პასუხისმგებლობა 16-19 წლიანების განათლებაზე.

შესაბამისი ასოციაციები და ეროვნული ორგანიზაციები

- ეროვნული ინსტიტუტი ზრდასრულების და მუდმივი განათლებისთვის - NIACE მისი მიზანა ზრდასრულთა მუდმივი განათლების განვითარების ხელშეწყობა, ხელმისწავდომი შესაძლებლობების ხარისხის გაუმჯობესება, ზრდასრულთა რიცხვის გადიდებით, რომლებიც დაკავებული არიან ფორმალურ ან არაფორმალურ სწავლებაში და საზოგადოებისთვის ხელმიწვდომობის გაფართოებით.

“არაფორმალური სწავლება“ უზრუნველყოფილია ბიბლიოთეკების, გალერეების და მუზეუმების საშუალებით აგრეთვე საზოგადოებრივი და მოხალისე ორგანიზაციების მიერ, როგორცაა მესამე ეპოქის უნივერსიტეტი, ქალთა ინსტიტუტი, ხელოვნების ორგანიზაციები, კლუბები და საზოგადოებები. ჟურნალისტიკას, ბიზისი –ს საშუალებით და არხი 4, აგრეთვე მნიშვნელოვანი როლი მიუძღვის ზრდასრულთა სწავლების მხარდაჭერასა და ხელშეწყობაში.

ფინანსები

ზრდასრულთა სწავლა გაერთიანებულ სამეფოში დაფინანსებულია საჯარო, კერძო და მოხალისე წყაროებიდან. საერთო დანახარჯი საჯარო წყაროებიდან აღემატება 30 ბილიონ –ს, ხოლო ეროვნული დასაქმების უნარჩვევების

მიმოხილვა გვთავაზობს, რომ დამსაქმებლები ხარჯავენ 38 ბილიონ ყოველ წელს. ამ საერთო დანახარჯიდან 95 % იხარჯება სწავლებაზე ეკონომიკური მიზნით.

გასულ 10 წელიწადში მნიშვნელოვნად გაიზარდა დანახარჯი განათლებაზე გაერთიანებულ სამეფოში. ათ წელიწადში 1995-6 წლიდან 2005 – 6 წლამდე საერთო დანახარჯი საგანმანათლებლო დეპარტამენტების მიერ გაიზარდა 6 –ით. 29 % იხარჯება შემდგომ სავალდებულო განათლებაზე და მომზადებაზე.

მიუხედავად ამისა,ამ 29%-ის უმეტესობა იხარჯება ახალგაზრდების (16-19 წლის შემდგომ განათლებაში და 18-22 უმაღლეს განათლებაში) საწყის განათლებაზე და შესაძლებელი არ არის განვასხვავოთ ეს ზრდასსრულებზე დანახარჯისგან, რადგან ბევრი სწავლება მიმდინარეობს სხვადასხვა ასაკის კლასებში.

NIACE –ის კვლევით გამოთვლილია, რომ ზრდასრულთა სწავლებაზე საერთო დანახარჯი ინვესტორის მიერ შეიძლება იყოს არანაკლებ 55 ბილიონ აქედან 38 ბილიონ წლიურად. 55 ბილიონ დან 63 % იყო დახარჯული დასასაქმებელთა განვითარებაზე და 16 ბილიონ იყო მოწოდებული კერძო სექტორის მიერ.

65 % საერთო საჯარო დანახარჯიდან 2007-8 წლებში სავალდებულო განათლებაზე იყო დახარჯული უმაღლეს განათლებაზე, რომლის 3 მეოთხედი იყვნენ 25 წლამდე პირები.

რაც მეტად უფროსი ხარ უფრო ნაკლებად იღებ მონაწილეობას სწავლებაში, თუმცა სამთავრობო შესწავლის მიხედვით გვიჩვენებს, რომ სწავლება რა დადებით შედეგს ახდენს ასაკოვანი პირებისთვის.

- ეთნიკური უმცირესობის ზრდასრულები უფრო ხშირად მონაწილეობენ (26%) ვიდრე თეთრკანიანი ზრდასრულები (17%).

პერსონალი

სრული შემდგომი განათლების სამუშაო ძალა შედგებოდა 125.400 პირისგან (ინგლისში, 2005/6 წელს) აქედან 50.180 იყვნენ სრული სამუშაო დროით დაკავებული და 75.220 ნახევარი განაკვეთით.

მთლიანი უმაღლესი განათლების სამუშაო ძალა იყო 164. 870 ინდივიდუალური პირისგან შემდგარი. დამატებით 80.930 პირი, რომელთა მოვალეობა იყო აკადემიური დანიშნულება. მთლიანი სკოლის სამუშაო ძალა იყო 429.600 ინდივიდუალური პირი.

ინფორმირებული მიმოხილველები გვიჩვენებს, რომ კერძო მომზადების ორგანიზაციებს აგრეთვე შეუძლიათ დაასაქმონ დაახლოებით 25.000 პერსონალი (მათ შორის ისეთი პერსონალი,როგორც არის შემფასებლები და მრჩეველები), მაგრამ არ არის შეგროვებული ეროვნული მონაცემები.

მასწავლებლებელთა დიდი რაოდენობა შემდგომ განათლებაში არიან გამოცდილი თავიანთ დარგში და ბევრის ფუნქცია არის მეთვალყურეების ან ადგილზე ტრენერების

ვიდრე ისინი დაიწყებენ თავიანთ სწავლებას როგორც მასწავლებლები. როდესაც ისინი იწყებენ ფორმალურ ტრენინგს ეროვნული სასწავლო კვალიფიკაციისთვის, უმეტესობა დასაქმდება, როგორც მთლიანი ან ნახევარი დროით დაკავებული შემდგომი განათლების მასწავლებლები. მათი მომზადება გულისხმობს სხვადასხვა სწავლების მეთოდებს და პრაქტიკულ ელემენტებს. 2001 წელს შემოღებული იყო ახალი ეროვნული რეგულაციები, რომელიც ითხოვდა, რომ შემდგომი განათლების მასწავლებლებს მიეღოთ სწავლების კვალიფიკაცია, რომელიც დაფუძნებული იქნებოდა ეროვნულ სტანდარტებს სწავლებისთვის და ცოდნის მიღების მხარდაჭერას. კვალიფიკაციები, რომელიც ეფუძნება ეროვნულ სტანდარტებს შემოთავაზებულია უმაღლესი სასწავლებლების მიერ და ეროვნული ორგანოების მიერ.

LLUK (მუდმივი სწავლა გაერთიანებული სამეფო) პასუხისმგებელია 2007 შემდგომი განათლების სამუშაო ძალის სტრატეგიის განხორციელებისთვის, რომელიც მიზანია ყველა კოლეჯის და სწავლების პროვაიდერის მხარდაჭერა საკუთარი ადგილობრივი გეგმების განხორციელებაში, რომ მხარი დაეჭიროს უზრუნველყოფას ახალგაზრდა პირებისთვის, ზრდასრულებისთვის და დამსაქმებლებისთვის. ახალი კვალიფიკაციები (და ისინი რომელიც განვითარების ქვეშაა) არის ძირითადი ნაწილი ამ სტრატეგიისთვის. მასწავლებელთა კვალიფიკაციის ჩარჩო, რომელიც განავითარა LLUK – მ შეიცავს კვალიფიკაციებს სხვადასხვა სახის სწავლების და არა სწავლების პერსონალისთვის. (სწავლების მხარდაჭერაში, შეფასებასა და მენეჯმენტში).

სწავლების და მომზადების ფორმა ჩამოყალიბებულია ინდივიდუალური ინსტიტუტების მიერ, რომლებიც ჩვეულებრივ ამზადებენ თავიანთ საკუთარ პერსონალს შესაბამისი კურსების მეშვეობით, რომელიც მოწონებულია HEA – ს მიერ. ამ კურსების წარმატებით დამთავრების შემდეგ მიენიჭება სტატუსი - სწავლების აღიარებული კვალიფიკაცია.

არსებობს გარკვეული პრობლემები, როდესაც სასწავლო კვალიფიკაცია ენიჭება ნახევარსტაჟიან მასწავლებლებს უმაღლეს განათლებაში კადემიამ განსაზღვრა ნახევარ – სტაჟიანი მასწავლებლების ტიპოლოგია, რომელთაც აქვთ გამოკვეთილი მომზადების მოთხოვნილებები:

- ნახევარ –სტაჟიანი მასწავლებლებს აქვთ ძალიან შეზღუდული როლი
- არსებობენ გამოუცდელი მასწავლებლები უმაღლეს სასწავლებლებში (ხშირად ასპირანტურის სტუდენტები), რომელთა სწავლება არ არის ღრმა.
- გგამოცდილი ნახევარ-სტაჟიანი მასწავლებლები, რომელთაც აქვთ სხვა ვალდებულება, რითაც შეზღუდულია მათზე ხელმიწვდომობა და რომელითაც სურთ, რომ ჰქონდეთ შეზღუდული სასწავლო როლი
- გამოცდილი და გამოუცდელი ნახევარ-სტაჟიანი მასწავლებლები, რომლებსაც სურთ რომ განახორციელონ სწავლების ყველა ფორმა
- ფრაქციული სწავლების პერსონალი, რომელთაც აქვთ უფლება და ხელი მიუწვდებათ მსგავს შესაძლებლობებზე და ინფრასტრუქტურაზე, როგორც მთლიანი სტაჟის მქონე კოლეგებს.

ხარისხის სისტემა / უზრუნველყოფა

შემდგომ განათლებას და უმაღლეს განათლებას აქვთ გამოკვეთილი ხარისხის უზრუნველყოფის სისტემები და ინსტიტუტები, თუმცა პრინციპები არის მსგავსი ორივე შემთხვევაში. უმაღლეს განათლებაში, ხარისხი მიმოხილულია ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტოს მიერ, რომელიც შეიქმნა 1997 წელს და რომელსაც მართავენ უნივერსიტეტები. შემდგომ განათლებაში ეს არის პასუხისმგებლობა სტანდარტების ოფისის – რომელიც აგრეთვე პასუხისმგებელია ხარისხის უზრუნველყოფაზე სკოლებში

უმეტესობა პროგრამებისა საჯაროდ დაფინანსებულ ინსტიტუტებში განისაზღვრება შედეგების მიხედვით და ეს განმარტება გამოიყენება მათი ხარისხის შეფასებაში. უმაღლეს განათლებაში, შედეგები განისაზღვრება ინსტიტუტების მიერ როგორც ნაწილი დამტკიცების პროცესისა, რომელიც ხორციელდება გარე შემფასებლებისგან. შემდგომ განათლებაში ისინი განსაზღვრულია გარე ორგანოების მიერ დამსაქმებლებთან პარტნიორობით. ინდივიდუალური სწავლება ფასდება ტესტირებით და გამოცდით. იზრდება დამსაქმებლების გავლენა კვალიფიკაციათა სპეციფიკაზე სექტორული უნარჩვევების საბჭოს მეშვეობით.

უახლოესი წინსვლა / ძირითადი პრობლემები:

- უნარჩვევებზე ძირითადი ყურადღება, რომ არ მოხდეს ისეთი განათლებების მიღება, რომელსაც არ ექნება კვალიფიკაცია.
- მთავრობის მიერ არაფორმალური სწავლების შეფასება
- უნივერსიტეტის ზრდასრულთა განათლების დეპარტამენტები არიან დეციმირებული, თუ როგორ უნდა დაიხარჯოს მათი ფული.

მესამე ქვეყანა, რომელიც ამ თემაში გვაქვს მიმოხილული არის ავსტრალია, რომელიც გარკვეულ წილად დიდი ბრიტანეთის ანალოგიურ გზებს მიმართავს, თუმცა ასევე აქვს მისთვის დამახასიათებელი ინდივიდუალური მიდგომა ზრდასრულთა საკითხებთან მიმართებაში.

მთავრობა, საზოგადოება და კერძო სექტორის პროვაიდერები ზრდასრულთა განათლებაში ავსტრალიაში

ავსტრალიაში ზრდასრულთა საწყისი განათლება მოიცავს წიგნიერებას, მათემატიკურ კომპეტენციას, კომუნიკაციის უნარ ჩვევებს, მეცნიერების საფუძვლებს, ჰუმანიტარულ საგნებს, სოციალურ მეცნიერებას და ასე შემდეგ, სავალდებულო სწავლების 10 დონეს. ის შეიცავს თვითგადარჩენის უნარჩვევებს, როგორც არის პირადი ჯანმრთელობა, სოციალური აქტივობა, პრობლემების გადაწყვეტას და წინააღმდეგობების დაძლევას. იგი აგრეთვე შეიცავს ინგლისურს, როგორც მეორე ენას (ESL) მათთვის, ვისაც ჭირდება საწყისი განათლება და აგრეთვე უნარჩვევების გამომუშავება ინგლისურში. ავსტრალიაში, როგორც სხვა ინდუსტრიულ ქვეყნებში, ზრდასრულებს სწავლების ამ სახის მოთხოვნილებებით უწოდებენ სოციალურად მიუღებლებს, რითაც რთულდება მათი პრობლემები. ტრადიციული მოდელი არ

გამოიყენება იმ პირებისთვის, რომლებსაც აქვთ პრობლემები სწავლის ათვისებასთან დაკავშირებით.

არსებობს ბევრი კარგად დასაბუთებული მიზეზი, თუ ავსტრალიელი მოზარდების 10 % ან დაახლოებით 1 მილიონი – ავსტრალიელი და საზღვარგარეთ დაბადებული რატომ არ ფლობს საწყისი დონის განათლებას. ასეთ პირები ხშირად არახელსაყრელ პირობებში იმყოფებიან ანუ მათ შესაძლოა არ გააჩნიათ ფინანსური საშუალებები. 1990 წელს არსებობდა მხოლოდ 44. 000 სტუდენტი ჩარიცხული ზრდასრულთა წიგნიერების პროგრამებში. ზოგადად მიღებულია, რომ მათ უნდა ჰქონდეთ უფლება და შესაძლებლობა თავისუფალი განათლებისთვის ამ დონეზე.

ზრდასრულთა განათლების ყველაზე ცნობილი და მკაფიო სახე არის ის, რომელიც პირადი განვითარების, ზოგადი ინტერესისთვის და რეკრეაციისთვის არის საჭირო, რომელიც შეიცავს პროგრამებს, რომელიც ეხმარება ადამიანებს, გააანალიზონ თავიანთი პოტენციალი და გახდნენ ინფორმირებულები იმ ძირითად საკითხებზე, რომელიც წარმოიშობა საზოგადოების წინაშე. ზრდასრულთა განათლების მოძრაობის ფესვები მოიძებნება ლიბერალურ ტრადიციაში, რომელიც იწყება დამატები თი ლექციებით ბრიტანეთში 1873 წელს. ზოგადი ინტერესი ანუ ზრდასრულთა განათლება თავისუფალ დროს, არის უფრო ახალი, ომის შემდგომი ფენომენი, რომელიც მატერიალური კეთილდღეობის, განათლების და შემცირებული სამუშაო საათების პარალელურად ხდებოდა. ლიბერალური ტრადიცია სერიოზულ ინტელექტუალურ მოთხოვნებს უყენებს სტუდენტებს. ლიბერალური ზრდასრულთა განათლების შემთხვევაში, რომელსაც ასე მკაფიოდ შეაქვს წვლილი მთავარი საკითხების საჯარო დისკუსიების ხარისხში, აშკარად დიდი სარგებელი მოაქვს მოსახლეობისთვის და უნდა არსებობდეს საჯარო მხარდაჭერა იმის უზრუნველსაყოფად, რომ ასეთი განათლება იყოს ფართოდ ხელმისაწვდომი.

სამსახური, საქმიანობასთან და კარიერასთან დაკავშირებული განათლება და მომზადება

ეს სფერო შეიცავს ინდუსტრიას და პროფკავშირების ტრენინგს, მართვის ტრენინგს და განვითარებას და პროფესიულ მუდმივ განათლებას. მას ზოგჯერ უწოდებენ, როგორც პროფესიულ განათლებას და მომზადებას ან უნარჩვევების ჩამოყალიბებას. გასულ რამდენიმე წლის განმავლობაში, მთავრობები, ინდუსტრია და კავშირები ეძებდნენ, რომ ფართოდ განეგრცოთ რესურსები და ამ სფეროს

უზრუნველყოფა, ავსტრალიის მომავალი ეკონომიკური განვითარების მხარდაჭერისთვის. მისი არსებითი, განმსაზღვრელი მახასიათებელი არის ის, რომ სამუშაო საბოლოოდ კოორდინირებულია მრეწველობის ეფექტურობის მიღწევისთვის, და ფინანსური სარგებლისთვის. ძირითადი მონაწილეები არ აღიქვამენ ამ სამუშაოს, როგორც ზრდასრულთა განათლებას. საწარმოებისთვის, მთავრობებისთვის და ინდივიდუალური პირებისთვის არსებობს სარგებელი სამუშაო ძალის განათლებიდან და მომზადებიდან და თვითეული სარგებელი ზრდის საერთო ღირებულებას. ინდივიდუალური პირები სარგებელს იღებენ და იხდიან პროფესიული მუდმივი განათლებისთვის (PCE), თუმცა პროფესიონალები აგრეთვე იღებენ სარგებელს დაბალი გადასახადიდან. საწარმოები იღებენ სარგებელს და იხდიან ინდუსტრიული და

საწარმოო სპეციფიური უნარჩვევების განვითარებისთვის. (ტრენინგის დაფინანსება 1989 წელს იყო AUS\$1.3ბ, რომლის 32% მოდიოდა გარე პროვაიდერებზე); მთავრობები იღებენ სარგებელს კარგი უნარჩვევების, განათლებული მუშების სამუშაო ძალისთვის დამატებისთვის და იხდიან ღირებულებას საწყისი პროფესიული განათლების და მომზადების, ტრენინგის პროგრამების უმუშევართა და გადადგილებული მუშებისთვის (1989 წლისთვის პერიოდულად განმეორებადი დაფინანსება ტექნიკური და შემდგომი განათლების სისტემის იყო AUS\$ 1.5ბ)

პროფესიული მომზადება და უნარჩვევების ჩამოყალიბება არის მთავრობის ძირითადი პრიორიტეტები ზრდასრულთა განათლებაში. საერთაშორისო წიგნიერების წლის წარმატების შედეგად, გაცნობიერებულია, რომ სამუშაო ძალის დიდ ნაწილს სჭირდება ზრდასრულთა საწყისი განათლება, ვიდრე მათ ჩამოყალიბდებათ სპეციფიური უნარჩვევები. ზრდასრულების მასწავლებლებს აწუხებთ ის ფაქტი, რომ სამუშაო უნარ ჩვევებს ეთმობა ძალიან მცირე ყურადღება..

თუკი სასურველი შედეგი არის უფრო ადაპტირებული და მოქნილი სამუშაო ძალა, მაშინ აუცილებელი არ არის ახალი ან გაუმჯობესებული უნარჩვევები, არამედ უფრო გამოცდილი ქცევები და დამოკიდებულება. ეს არ არის კომპეტენციის საკითხი - თუ რა შეუძლია ადამიანს გააკეთოს, არამედ აგრეთვე განზრახვა და ძალისხმევა - რა მოტივაცია აქვს ადამიანს და რას ცდილობს, რომ გააკეთოს. თანამედროვე ინდუსტრია, რომელიც გამოხატულია მომსახურების და საინფორმაციო სექტორებში მოითხოვს დავალების შესრულებისთვის შესაბამისი შინაარსის ინტელექტუალურ გააზრებას და არის მცირე მინიშნება, რომ ვალდებულების თვისებები და მსჯელობა ნაკლებად შეიძლება ჩამოყალიბდეს ტრენინგით. განათლებას ისეთ სოციალურ ჩვევებში, როგორცაა მტკიცებულება, სტრესის მართვა, კონფლიქტის გადაწყვეტა, შეუძლიათ მნიშვნელოვანი წვლილის შეტანა ორგანიზაციულ ეფექტურობაში.

ფორმალური საგანმანათლებლო ინსტიტუტები

სკოლები, საშუალო კოლეჯები, უმაღლესი განათლების შისტემა, ყველას შეაქვს წვლილი ზრდასრულთა განათლებასა და მომზადებაში. ეს წვლილი იცვლება მნიშვნელოვნად გარკვეული სტრუქტურების შესაბამისად და თითოეული შტატისა და ტერიტორიის საგანმანათლებლო სისტემების პრიორიტეტების შესაბამისად და უმაღლესი განათლების შემთხვევაში, საგანმანათლებლო პრიორიტეტების შესაბამისად. TAFE არის ყველაზე დიდი პროვაიდერი ამ კატეგორიაში, თუმცა მისი დანიშნულება ზრდასრულთა განათლებაში განსხვავდება შტატიდან შტატში.

ფორმალური განათლებას წვლილი შეაქვს ორი სხვადასხვა გზით ზრდასრულთა განათლებასა და მომზადებაში:

პირველად, ინსტიტუტები ითვლიან ზრდასრულებს (23 ან 25 წელზე უფრო დიდი) ზრდასრულთა რიცხვი იცვლება სტანდარტული ჩარიცხვის სტანდარტულ რაოდენობასთან დაკავშირებით აკრედიტირებულ პროგრამებზე, ხანდახან კეთდება სპეციალური სია მათთვის

ზრდასრულები ზოგადად მონაწილეობენ ამ პროგრამებში იგივე პირობებით, როგორც სხვა სტუდენტები და უმეტესობა აღიარებს, რომ მათ აქვთ უფლება ამის კეთების როგორც აბიტურიენტებს.

მეორე, ზოგიერთი ინსტიტუტი აგრეთვე ორგანიზებას უწევს და მასპინძლობს პროგრამებს, რომლებიც ჩვეულებრივ ტარდება საღამოობით ან სხვა დროს, როდესაც “ჩვეულებრივი” კლასები არ ტარდება. ხშირად სკოლებს და საშუალო კოლეჯებს აქვთ “საღამოს კოლეჯები” ან “საზოგადოებრივი განათლების პროგრამები”; ბევრი უმაღლესი განათლების ინსტიტუტებს აქვთ მუდმივი განათლების დაუსწრებელი ან საღამოს პროგრამები; TAFE კოლეჯები ატარებენ კურსებს. ჩვეულებრივ მონაწილეები იხდიან სწავლებისა და მასალებისთვის. ასეთი კურსების დროს თანხამ არ უნდა დაფაროს ადმინისტრაციული და სხვა, (გათბობის და ელექტრო ენერჯის) ღირებულებები.

სკოლები, საშუალო კოლეჯები, უმაღლესი განათლების შისტემა, ყველას შეაქვს წვლილი ზრდასრულთა განათლებასა და მომზადებაში. ეს წვლილი იცვლება მნიშვნელოვნად გარკვეული სტრუქტურების შესაბამისად და თითოეული შტატისა და ტერიტორიის საგანმანათლებლო სისტემების პრიორიტეტების შესაბამისად და უმაღლესი განათლების შემთხვევაში, საგანმანათლებლო პრიორიტეტების შესაბამისად. TAFE არის ყველაზე დიდი პროვაიდერი ამ კატეგორიაში, თუმცა მისი დანიშნულება ზრდასრულთა განათლებაში განსხვავდება შტატიდან შტატში.

ფორმალური განათლებას წვლილი შეაქვს ორი სხვადასხვა გზით ზრდასრულთა განათლებასა და მომზადებაში:

პირველად, ინსტიტუტები ითვლიან ზრდასრულებს (23 ან 25 წელზე უფრო დიდი) ზრდასრულთა რიცხვი იცვლება სტანდარტული ჩარიცხვის სტანდარტულ რაოდენობასთან დაკავშირებით აკრედიტირებულ პროგრამებზე, ხანდახან კეთდება სპეციალური სია მათთვის

ზრდასრულები ზოგადად მონაწილეობენ ამ პროგრამებში იგივე პირობებით, როგორც სხვა სტუდენტები და უმეტესობა აღიარებს, რომ მათ აქვთ უფლება ამის კეთების როგორც აბიტურიენტებს.

მეორე, ზოგიერთი ინსტიტუტი აგრეთვე ორგანიზებას უწევს და მასპინძლობს პროგრამებს, რომლებიც ჩვეულებრივ ტარდება საღამოობით ან სხვა დროს, როდესაც “ჩვეულებრივი” კლასები არ ტარდება. ხშირად სკოლებს და საშუალო კოლეჯებს აქვთ “საღამოს კოლეჯები” ან “საზოგადოებრივი განათლების პროგრამები”; ბევრი უმაღლესი განათლების ინსტიტუტებს აქვთ მუდმივი განათლების დაუსწრებელი ან საღამოს პროგრამები; TAFE კოლეჯები ატარებენ კურსებს. ჩვეულებრივ მონაწილეები იხდიან სწავლებისა და მასალებისთვის. ასეთი კურსების დროს თანხამ არ უნდა დაფაროს ადმინისტრაციული და სხვა, (გათბობის და ელექტრო ენერჯის) ღირებულებები.

სამთავრობო დეპარტამენტები და სააგენტოები

სამთავრობო დეპარტამენტების და სხვა სამთავრობო სააგენტოების როლი ზრდასრულთა განათლებასა და მომზადებაში არის რთული. ისინი ზოგადად ხელმძღვანელობენ და აფინანსებენ პროგრამებს, რომლებიც ტარდება კონტრაქტის საფუძველზე სხვა ორგანოების მიერ, ისინი არ წარმოადგენენ პროვაიდერებს. ფედერალური და სახელმწიფო-სამთავრობო დეპარტამენტების უმრავლესობა აფინანსებენ პროგრამებს ზრდასრულთა განათლების და მომზადებისათვის, მაგრამ ისინი ჩვეულებრივ არ განსაზღვრავენ ამას, როგორც ზრდასრულთა განათლების სამუშაოს. ის უფრო ცნობილია, როგორც “სასოფლო სამეურნეო განვითარება”, ოჯახის მართვისთან დაკავშირებული კონსულტაციები, რჩევა მცირე ბიზნესზე”, “ჯანმრთელობის განათლება”, ან “ მომხმარებლის თვითცნობიერება”. მთლიანი ეროვნული დანახარჯი ამ სახის პროგრამებზე, რომლის მიზანია ცვლილება დამოკიდებულებაში, ქცევებში და რომლის მიზანია დამოკიდებულების გაუმჯობესება უნდა შეფასებულ იქნას ას მილიონ დოლარად.

მეორეს მხრივ, საჯარო სექტორი არის ძალიან დიდი პროვაიდერი და მომხმარებელი ზრდასრულთა განათლების და მომზადების საკუთარი სამუშაო ძალისთვის. მთავრობას განსაკუთრებით დიდი როლი აქვს ზრდასრულთა განათლებაში აგრეთვე მნიშვნელოვანია იმ დეპარტამენტის როლიც, რომელიც პასუხისმგებელია დასაქმებაზე, განათლებასა და მომზადებაზე. ამ პასუხისმგებლობებს თავისთავზე იღებდნენ სახელმწიფოები მას შემდეგ რაც ჩამოყალიბდა დასაქმების განათლების და მომზადების დეპარტამენტი 1987 წელს. მეტ წილ ად მთავრობები განსაზღვრავდნენ უფროს ოფიცერს, რომლის პასუხისმგებლობა იყო ზრდასრულთა განათლება და ეს ხალხი ხვდებოდა ერთმანეთს უფროს ოფიცერთა კონფერენციაზე ზრდასრულთა განათლების შესახებ. სახელმწიფო დაფინანსების დონე რომელიც განსაზღვრულია ზრდასრულთა განათლებაზე მნიშვნელოვნად იცვლება. ამ ცვლილების შედეგია, ის რომ შესაძლებლობა ზრდასრული ავსტრალიელების, რომ მონაწილეობა მიიღონ განათლებასა და მომზადებაში დამოკიდებულია იმაზე თუ რომელ სახელმწიფოში ცხოვრობენ ისინი.

საზოგადოებრივი პროვაიდერები

ავსტრალიის ზრდასრულთა განათლების ეფექტურობა, მრავალფეროვნება და განვითარება ძალიან გაიზარდა გასულ 10 წელიწადში საზოგადოებრივ სექტორში მიღწევების შედეგად. ეს ეხება ზრდასრულთა საწყის განათლებას და ზოგადი ხასიათის განათლებას, მაგრამ საზოგადოებრივი სექტორი არის არსებითი და ინოვაციის შემომტანი პროვაიდერი უნარჩვევების ჩამოყალიბების საქმეში და დიდი წვლილი შეაქვს საჯარო განათლებაში. ზრდასრულთა განათლების საზოგადოებრივ ცენტრებში და სასწავლო ცენტრების მოღვაწეობის საქმეში ავსტრალიელები არიან პიონერები საზოგადოებრივ სწავლების ახალი ფორმების ჩამოყალიბებაში, რომელიც არის ძალიან დემოკრატიული, ადგილობრივი მოთხოვნილების დამაკმაყოფილებელი და რესურსების გამოყენებაში ძალიან ეფექტური. სექტორი მოიცავს არასამთავრობო, არაკომერციულ ორგანიზაციებს, ჩვეულებრივ დემოკრატიული საზოგადოებრივი კონტროლის ქვეშ, რომელიც

განათლებას და მომზადების შესაძლებლობებს ქმნის ნებისმიერ დროს და თავისუფალია მასზე ხელმიწვდომობა. ზოგიერთები არიან ზოგადი განათლების პროვაიდერები, რომლებიც აკმაყოფილებენ საზოგადოების მოთხოვნილებას, სადაც ისინი არიან განთავსებული, ზოგიერთები კი უფრო კონკრეტული საკითხებზე აკმაყოფილებენ, ხოლო ზოგიერთები არიან უფრო დიდი, როგორც არის მაგალითად, მუშათა საგანმანათლებლო ასოციაციები, ზოგიერთები კი გაცილებით პატარა. უმეტესობა ფინანსდება მთავრობიდან, ზოგადი მხარდაჭერისთვის ან სპეციფიური აქტივობების ჩატარებისთვის, როგორცაა წიგნიერების პროგრამები ან უნარების გაზიარება.

დიდი და კარგად ნაცნობი საზოგადოებრივი პროვაიდერები არიან როგორცაა WEAs, the Universities of the Third Age (U3A), (3), სალამოს კოლეჯები, უფროსი ასაკის კოლეჯები, სასწავლო ცენტრები და საზოგადოებრივი ზრდასრულთა განათლების ცენტრები.

ბევრი ისეთი საზოგადოებრივი ორგანიზაცია, როგორც არის YWCA/YMCA, ოჯახის დაგეგმვის ასოციაცია, ეკლესიები და სხვადასხვა ენების ასოციაციები აგრეთვე გვთავაზობს ზრდასრულთა განათლებას, თუმცა ეს არ არის უპირველესი მიზანი.

ხუთი პროვაიდერი ჯგუფიდან, საზოგადოებრივი სექტორი და კერძო სექტორი არის ყველაზე მრავალფეროვანი. ბევრი საზოგადოებრივი ჯგუფი არის დროებითი და საგანმანათლებლო სამუშაო ბევრი მათგანის არის პერიფერიული. ზოგიერთი საზოგადოებრივი პროვაიდერი ჯგუფი მონაწილეობს საზოგადოების განვითარების ხანგრძლივ პროცესებში. პატარა საზოგადოებრივი ჯგუფები არის არახელსაყრელი მაშინ, როცა ისინი არიან განთავსებული შორს და საგანმანათლებლო რესურსებზე ხელმიწვდომობა არის რთული. ზრდასრულთა განათლების რადიომპაუწყებლობამ მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ავსტრალიის გარეუბნებში. დისტანციური განათლების უზრუნველყოფა სხვადასხვა უმაღლესი განათლების და სხვადასხვა კერძო პროვაიდერებს დიდად ეხმარება რომ დაიძლიოს ის ბარიერი, რაც იქმნება განათლების მიუწვდომლობით ავსტრალიის გარეუბანში.

საზოგადოებრივი სექტორი ყველგან არის ძლიერ დამოკიდებული მოხალისეებზე, უმთავრესად ქალებზე, რომლებსაც თავიანთი სიბეჯითით და თავდადებით შეაქვთ მნიშვნელოვანი წვლილი საზოგადოების კეთილდღეობაში.

ზრდასრულთა განათლების და მომზადების კერძო სექტორის პროვაიდერები

კერძო სექტორი არის უფრო მრავალფეროვანი, ვიდრე საზოგადოებრივი სექტორი, თუმცა უნდა ვცნოთ ქვედაყოფა პროვაიდერებს, ჩვეულებრივ პროვაიდერებსა და იმათ შორის ვინც განათლებას სთავაზობენ ისეთ აქტივობაში, როგორც არის სპორტი, სამხედრო ხელოვნება და შემოქმედებითი უნარი, ისეთი როგორცაა პიანინოზე დაკვრა, ფოტოგრაფია ან ჩინური კერძების მომზადება. უნარჩვევებზე დამოკიდებული კარიერა ჩვეულებრივი მოვლენა გახდა და საწარმოებს მოეთხოვებათ, რომ დახარჯონ გარკვეული რაოდენობის თანხები მომზადებასა და განვითარებაზე. ამის შედეგად უფრო მეტი კომპანია გაჩნდა

ბაზარზე, ახალი კერძო სექტორის ორგანიზაციები. ჩვენ გვაქვს კერძო უმაღლესი განათლების ინსტიტუტები, ხოლო უნივერსიტეტების უმეტესობას გააჩნია კერძო კომერციული კომპანია პატენტების მართვისთვის, საკონსულტაციო მომსახურებისთვის, სატრენინგო სამუშაოსთვის. ისინი მოქმედებენ, როგორც სხვა კერძო პროვაიდერები.

უფრო დიდი კერძო პროვაიდერები შერეულია პროფესიული მუდმივი განათლების ბაზარზე, სადაც არსებობს საუკეთესო შესაძლებლობები სარგებელისთვის. მათ აქვს კორპორატიული სტრუქტურა და გეგმავენ და უძღვებიან თავიანთ პროგრამებს, რითაც აღადგენენ თავიანთ მთლიან ღირებულებას, რომელსაც ემატება სარგებელი. მომხმარებლებს წარმოადგენენ მთავრობები, აგრეთვე საწარმოები და ინდივიდუალური პირები, აგრეთვე დასაქმების განათლებისა და მომზადების ფედერალური დეპარტამენტი და არასამთავრობო ორგანიზაციები, ისინი დიდ მოსამზადებელ სამუშაოს ატარებენ. ამ სექტორის მნიშვნელოვანი განვითარება მიმდინარეობს და მას აქვს გავლენა პროვაიდერების სხვა ტიპზე - ფორმალური განათლებიდან და საზოგადოებრივი სექტორებიდან, მაგალითად - ისინი ვინც კონკურენტუნარიანი არიან ბიზნეს-განათლებაში. მიმდინარეობს დისკუსიები, არის მრავალი საკითხი, რომელიც უკავშირდება, ეთიკურობას, ხარისხის კონტროლს კერძო განათლებაში.

მუშათა ბაზრის ორგანიზაციები

საბოლოო სექტორი შეიცავს ისეთ სამუშაოს, რომელშიც ძირითადი მონაწილეები არიან დასაქმების ორგანიზაციები, მომზადების ორგანოები, საწარმოები, კავშირები და პროფესიული ასოციაციები. მათ აქვთ პასუხისმგებლობა განათლებისთვის და მომზადებისთვის. დასაქმების ორგანიზაციები, როგორცაა ავსტრალიის ბიზნეს საბჭო, ავსტრალიური ინდუსტრიის კონფედერაცია და კომერციის და მანუფაქტურის სხვადასხვა პალატები ატარებენ საგანმანათლებლო და მომზადების აქტივობებს და მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვთ სხვადასხვა სახელმწიფო და ეროვნულ ინდუსტრიის მომზადების საბჭოებში. ინდუსტრიული საბჭოები წამყვან როლს ასრულებენ ძირითადი უნარჩვევების მომზადებაში, ხოლო ინდივიდუალური საწარმოები კონცენტრაციას აკეთებენ საწარმოო სპეციფიურ მომზადებაზე და განვითარებაზე რომელიც გაზრდის კორპორატიულ პროდუქტიულობას.

დამატებით, ბევრი ინდივიდუალური კავშირი თავისი შესაძლებლობის შესაბამისად ატარებს საკუთარ მომზადებას, კერძოდ პროფკავშირების წარმომადგენლებისთვის. საბოლოოდ, პროფესიული ასოციაციები, როგორც არის სამედიცინო კოლეჯები, ინჟინერთა ინსტიტუტი, მართვის ავსტრალიური ინსტიტუტი და ბუღალტერთა ინსტიტუტი დიდი ხანია ჩართული არიან თავიანთი წევრების პროფესიულ განვითარებაში და ისინი დგანან იმ კითხვის წინაშე იყოს თუ არა ასეთი აქტივობა სავალდებულო. პროფესიათა რაოდენობას გააჩნია მუდმივი პროფესიული განათლება.

ეს არის ზრდასრულთა განათლების და მომზადების ფართო, მრავალფეროვანი და კარგი რესურსების მქონე სექტორი. მისი საგანმანათლებლო და მომზადების

აქტივობები მიმართულია ორგანიზაციული განხორციელების (შესრულების) გაუმჯობესებისთვის ან სამუშაო ძალის უნარჩვევების დონის გაუმჯობესებისთვის. ამ სამუშაოს ხარჯი არის აღქმული როგორც ინვესტიცია ადამიანთა რესურსებში და ასეთი უნარჩვევების შექმნა კოორდინირებულ უნდა იყოს მიზანთან, კომპეტენციის სპეციფიურ დონებთან და ასეთი კომპეტენციის მიღწევას უნდა ჰქონდეს ფორმალური აღიარება.

ავსტრალიის ზრდასრულთა და საზოგადოებრივი განათლების ასოციაციის მიზანია მთავრობის განათლება ზრდასრულთა სფეროს მნიშვნელობის სფეროში. უფრო კარგად გაგებაში ისეთი დარგის, როგორცაა სასოფლო-სამეურნეო დარგი, ჯანმრთელობის ხელშეწყობა და მცირე ბიზნესის მრჩეველი სამსახურისა.

ფედერალური მთავრობა ანაწილებს დაფინანსებას სახელმწიფოებზე ზრდასრულთა განათლების სამუშაოს სხვადასხვა კატეგორიებისთვის, მაგრამ მიწოდებაზე პასუხისმგებელია სახელმწიფოს. სახელმწიფო მთავრობების ყურადღების და წვლილის დონე შეიცვალა მნიშვნელოვნად, ასე რომ არათანაბარი მიწოდება არის ტიპური. ფედერალურ მთავრობას არ აქვს რაიმე პოლიტიკის, ადმინისტრაციული, კვლევითი და მონაცემთა კოლექციის უნარიანობა ზრდასრულთა განათლებაში. იმედა, რომ ამჟამინდელი საპარლამენტო საკითხი შეეხება ამ სერიოზულ დანაკლისს.

როდესაც დარგი ფართოდ არის გაანალიზებული, აშკარაა რომ აქ მონაწილეობს სამის სექტორი – კერძო სექტორი არის მთავარი მონაწილე, მთავრობა და საზოგადოებრივი სექტორები. პოლიტიკური და იდეოლოგიური განსხვავებები ამ სამი სექტორის პროვაიდერებს შორის არ არის ისეთი მნიშვნელოვანი, როგორც ეს წარსულში იყო და ბევრი მომხამრებლისთვის არის სრულიად შეუსაბამო. პოლიტიკური დებატები სამთავრობო ფუნქციების კორპორატიულობის პრივატიზაციასთან დაკავშირებით გააძლიერა ის მოსაზრება, რომ ზრდასრულთა განათლება არის ეფექტურობის საფუძველი.

მთავრობა დიდ პრიორიტეტს ანიჭებს უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებას, რაც არის ნაწილი უფრო დიდი სტრატეგიისა იმისთვის, რომ გაიზარდოს ავსტრალიის ეკონომიკის საერთაშორისო კონკურენტუნარიანობა. ამ სასწრაფო მოთხოვნილებამ უკეთესი სამუშაო ძალის ჩამოყალიბებისთვის, რომელსაც მხარს უჭერს კავშირები, მთავრობა. ბიზნეს სექტორმა ყურადღება გაამახვილა ზრდასრულთა განათლებაზე და მომზადებაზე, სისტემის მოთხოვნილებაა მუდმივი სწავლების მხარდაჭერა რეალური საქმიტ და არა მხოლოდ საუბრით. ზრდასრულთა მასწავლებლები ცდილობენ, რომ არამარტო სამუშაო ძალის მოთხოვნილებას აკმაყოფილებენ, არამედ სხვა მნიშვნელოვან ზრდასრულთა განათლების მოთხოვნილებებსაც. მეორე სფერო რაზეც მთავრობა იღებს პასუხისმგებლობას არის ზრდასრულთა წიგნიერების უზრუნველყოფა.

ასოციაციის მოსაზრებით, მთავრობა უნდა აფინანსებდეს ზრდასრულთა განათლების პროგრამებს მათთვის, ვისაც სჭირდება ის და დააფინანსოს არსებითი ინფრასტრუქტურა ზრდასრულთა მომსახურებისთვის.

მთავრობის სურვილია პროგრამების დაფინანსება, რომელიც უნდა ჩატარდეს საზოგადოებრივ სექტორში. ასოციაციის პოლიტიკის პრინციპია, რომ პასუხისმგებლობა მხარდაჭერისთვის და განვითარებისთვის ზრდასრულთა სწავლებაზე უნდა იყოს გაზიარებული მთავრობების მიერ, კერძო სექტორების და საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიერ, აგრეთვე ზრდასრულთა მასწავლებლებს და ზრდასრულ სტუდენტებს შორის, რომლებიც თანამშორლობენ იმისთვის, რომ მოხდეს რესურსების სათანადო გამოყენება. ეს შესაძლებელია იდეალისტური იყოს, მაგრამ არ იყოს ზრდასრულთა განათლების მახასიათებელი.

დასკვნა:

ზრდასრულთა წიგნიერებას დიდი გავლენა აქვს ფორმალური სისტემის განათლების სიდიდეზე და ხარისხზე. ზრდასრულთა წიგნიერება და განათლება არის საჭირო განათლებული მთავრობის და მოქალაქეობის უზრუნველსაყოფად, რომლის აქტივობები და გადაწყვეტილებები არის ძალიან სასიცოცხლო სრულყოფილი განათლებისა და ეროვნული მიზნების მისაღწევად.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ალასტაირ კრომბი, ავსტრალია, - მთავრობა, საზოგადოება და კერძო სექტორის პროვადერები ზრდასრულთა განათლებაში ავსტრალიაში;
2. საქართველოს ზრდასრულთა განათლების ასოციაცია (AEAG www.aeag.org.ge) ძირითადი პრობლემები და ტენდენციები ზრდასრულთა განათლებაში;
3. <http://www.eaea.org/>
4. კრისტოფერ ევუცი, საერთაშორისო მშვიდობის ფონდი, ნიგერია - ნიგერიაში ზრდასრულთა განათლების ცვლილება ;
2. <http://dvv-international.ge/georgia/?action=67&lang=geo>
3. John Daines - Adult Learning – Adult Teaching; Welsh Academic Press, 2006;

Article received: 2015-12-07